

შპს სალუდა

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მსს ფასს

შინაარსი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5-13

- 1 ზოგადი ინფორმაცია
 - 2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა
 - 3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
 - 4 ფულადი სახრები
 - 5 სავაჭრო მოთხოვნები
 - 6 გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
 - 7 მარაგები
 - 8 სხვა მიმდინარე აქტივები
 - 9 ძირითადი საშუალებები
 - 10 სხვა გრძელვადიანი აქტივები
 - 11 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან
 - 12 შემდგომი მოვლენები
-

შპს სალუდა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	783,216	464,609
სავაჭრო მოთხოვნები	2	379,403	286,307
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	297,043	302,492
მარაგები	4	390,573	253,033
- მზა პროდუქცია		380,837	249,823
- სხვა		9,736	3,210
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	5	11,605	79,490
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	57,825	61,328
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	26,290	30,929
სულ აქტივები		1,945,955	1,478,188
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		182,254	49,572
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		74	96
საგადასახადო ვალდებულებები		81,729	42,526
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			1,123
სულ ვალდებულებები		264,057	93,317
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,681,898	1,384,871
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		1,681,898	1,384,871
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,945,955	1,478,188

შპს სალუდა-ს დირექტორი
გიორგი ჭუმბურიძე

აუდიტორი
გიორგი მესხია

შპს სალუდა

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	7,255,940	5,593,623
საქონლის გაყიდვიდან	5,388,394	4,562,937
მომსახურების გაწევიდან	1,867,546	1,030,686
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,304,464)	(4,989,656)
საერთო მოგება	951,476	603,967
სხვა შემოსავალი	11,456	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(450,827)	(467,571)
ცვეთა და ამორტიზაცია	(17,252)	(17,517)
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი :	(40,738)	(20,220)
ოჯარის ხარჯი	(15,000)	(15,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(136,707)	(85,626)
სულ საოპერაციო ხარჯები	(649,068)	(605,934)
საოპერაციო მოგება	302,408	(1,967)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(8,780)	(60,819)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	(4,999)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	293,628	(67,785)
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	293,628	(67,785)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (ძათ ძორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	293,628	(67,785)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,384,871	1,448,371
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	3,399	4,285
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,681,898	1,384,871

შპს სალუდა-ს დირექტორი
გიორგი ჭუმბურიძე

აუდიტორი
გიორგი მესხია

შპს სალუდა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	373,865	161,105
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(10,750)	(6,922)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(35,728)	(10,800)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	327,387	143,383
სავალუტო კურსის ეფექტი	(8,780)	(60,819)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	464,609	382,045
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	783,216	464,609

შპს სალუდა-ს დირექტორი

გიორგი ჭუმბურიძე

აუდიტორი

გიორგი მესხია

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2023 წლის 18 დეკემბერს:

შპს სალუდა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	783,216	464,609
საეკსპო მითხოვნები	2	379,403	286,307
გადახდილი ავანსები და დარიცხული მოსაღები შემოსავალი	3	297,043	302,492
მარაგები	4	390,573	253,033
- შპს პროდუქცია		380,837	249,823
- სხვა		9,736	3,210
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	5	11,605	79,490
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	57,825	61,328
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	26,290	30,929
სულ აქტივები		1,945,955	1,478,188
ვალდებულებები			
ფინანსური ოჯარის ვალდებულება			
საეკსპო ვალდებულებები		182,254	49,572
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		74	96
საგადასახადო ვალდებულებები		81,729	42,526
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			1,123
სულ ვალდებულებები		264,057	93,317
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოხდილი საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,681,898	1,384,871
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		1,681,898	1,384,871
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,945,955	1,478,188

შპს სალუდა-ს დირექტორი

გიორგი ჭუმბურიძე



აუდიტორი

გიორგი მესხია

შპს სალუდა

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	7,255,940	5,593,623
საქონლის გაყიდვიდან	5,388,394	4,562,937
მომსახურების გაწევიდან	1,867,546	1,030,686
სამშენებლო ხელშეკრულებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,304,464)	(4,989,656)
საერთო მოგება	951,476	603,967
სხვა შემოსავალი	11,456	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(450,827)	(467,571)
ცვთა და ამორტიზაცია	(17,252)	(17,517)
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი:	(40,738)	(20,220)
ოჯაროს ხარჯი	(15,000)	(15,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(136,707)	(85,626)
ხელ საოპერაციო ხარჯები	(649,068)	(605,934)
საოპერაციო მოგება	302,408	(1,967)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(8,780)	(60,819)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	(4,999)
მოგება/(ხარჯი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	293,628	(67,785)
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ხარჯი)	293,628	(67,785)
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი):		
ბიოთექნოლოგიური საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაყვანის რეზერვი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი), სულ:		
მილიანი სრული შემოსავალი/ (ხარჯი)	293,628	(67,785)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,384,871	1,448,371
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	3,399	4,285
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,681,898	1,384,871

შპს სალუდა-ს დირექტორი

გიორგი ჭუმბურიძე

გ. ჭუმბურიძე



აუდიტორი

გიორგი მესხია

გიორგი მესხია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს სალოდა-ს დირექტორი
გიორგი ჭაბჭაბაძე ა. #

გთხოვთ პატივსაცემად

3. சூழல்



გოლრუკი, მესხია

[Signature]

ფინანსური ანგარიშგება ბუღალტერილია 2023 წლის 18 დეკემბერს:

შპს სალუდა

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შსს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სალუდა არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2015 წელს. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 405093955. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ელექტროენერგიით და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 18-ს.

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

პარტნიორი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
01008012298, დავით ჭუმბურიძე	100%	100%
სულ	100	100

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

კომპანია 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდამდე წარმოადგენდა მეოთხე კატეგორიის საწარმოს და შესაბამისად ანგარიშგება განხორციელებული აქვს მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. კომპანია 2022 წლის მონაცემებით საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი მონაცემები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის უწყისში, სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, რაც შესაბამეა საკანონმდებლო მოთხოვნებს.

2.1.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა ნაწილობრივ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.2 ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება ელექტრო საქონლის დამზადება-რეალიზაციისაგან, ასევე ჰესებში და ელექტრო გამანაწილებლებში სამონტაჟი და გამართვითი სამუშაოების მომსახურებიდან.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. "პროცენტული შესრულების მეთოდით"). ხელშეკრულების შესრულების სტადია განისაზღვრება სამუშაოების დასრულების პროპორციულობის მეთოდით.

როდესაც მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, კომპანია ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში, თუკი ასეთი არის.

2.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი დაითვლება მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85. საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

კომპიუტერული ტექნიკა

3-5 წელი

ავეჯი და ოფისის კეთილმოწყობა

5-7 წელი

ავტომობილები

10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით და ერიცხება 15% იანი ამორტიზაცია, რადგან აქტივის სასარგებლო მომსახურება ვადა განუსაზღვრელია.

2.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2.8 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

კომპანია ფლობს ფინანსური იჯარით მიღებულ აქტივებს, შესაბამისად აღნიშნული აქტივების მიღების მომენტში კომპანიამ განახორციელა საიჯარო გადასახადების მიმდინარე პერიოდის ღირებულებით დადისკონტირება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიას აღნიშნულ პერიოდში გააჩნია საბანკო სესხი, შესაბამისად დისკონტირების განაკვეთად აღებულია საბანკო პროცენტი.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.9 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება მზა პროდუქციის, მზა პროდუქციის დასამზადებელი ნედლეულისაგან და დაუმთავრებელი წარმოებისაგან.

2.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11 გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12 ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს საღაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.14 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომლების მომსახურებას გასწევს.

კომპანიას არ აქვს რაიმე გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავებულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდებს.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საექვო ვალების რეზერვის შეფასება

საექვო ვალების რეზერვის შეფასება ხორციელდება თითოეული კლიენტის მიხედვით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაც მენეჯმენტს გააჩნია ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კომპანიის მენეჯმენტი და ხელმძღვანელი რეგულარულად ახორციელებს მოთხოვნების ხანდაზმულობის და თითოეული კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. კომპანიის რეზერვები სამართლიანად ასახავს მოთხოვნების შესაძლო გაუფასურებას, თუმცა რეალური შედეგები მომავალში შესაძლოა განსხვავებული იყოს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

შემოსავლების აღიარება

როგორც სააღრიცხვო პოლიტიკაშია აღწერილი კომპანია მსს ფასს-ის შესაბამისად ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულებისა და შესრულების სტადიის მიხედვით.

შპს სალუდა

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მსს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ფულადი სახრები

შენიშვნა 31 დეკემბერი 2022

31 დეკემბერი 2021

	1	
ლარები საღაროში	-	-
ლარები საბანკო ანგარიშებზე	779,932	309,398
დოლარები საბანკო ანგარიშებზე	3,284	-
ევრო საბანკო ანგარიშებზე	-	155,202
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	9
ფული და ფულის ექვივალენტები სულ	783,216	464,609

5 მოთხოვნები

შენიშვნა 31 დეკემბერი 2022

31 დეკემბერი 2021

	2	
მოთხოვნი სავაჭრო მოთხოვნები	379,403	286,307
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	379,403	286,307

6 გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

შენიშვნა 31 დეკემბერი 2022

31 დეკემბერი 2021

	3	
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	163,774	302,492
წინასწარ გადახდილი ხელფასი	126,303	-
წინასწარ გადახდილი საპენსიო შენატანი	6,966	-
სულ გადახდილი ავანსები	297,043	302,492

7 მარაგები

შენიშვნა 31 დეკემბერი 2022

31 დეკემბერი 2021

	4	
ნედლეული და მასალები	380,836	234,183
დაუმთავრებელი წარმოება	-	15,640
სულ მარაგები	380,836	249,823

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება მზა პროდუქციის დასამზადებელი ნედლეულისაგან და ასევე საწარმოო პროცესში მყოფი მზა პროდუქციისაგან.

8 სხვა მიმდინარე აქტივები	შენიშვნა 5	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
	5		
საგარანტიოდ გადახდილი თანხები		11,605	79,490
გადახდილი საპენსიო შენატანი		-	-
სულ სხვა მიმდინარე აქტივები		11,605	79,490

კომპანიას გადახდილი აქვს საგარანტიო თანხები ტენდერში მონაწილეობისათვის, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში ასახულია სხვა მიმდინარე აქტივებში.

9 ძირითადი საშუალებები

შენიშვნა

6

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება				
31 დეკემბერი 2021	25,177	35,102	30,012	90,291
შეძენები	5,498	3,612	0	9,110
გაყიდვა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	30,675	38,714	30,012	99,401
აკუმულირებული ცვეთა				
31 დეკემბერი 2021	11,063	10,550	7350	28,963
პერიოდის ხარჯი	4,618	5,037	2,958	12,613
ელიმინაცია გასავალზე	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	15,681	15,587	10,308	41,576
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	14,114	24,552	22,662	61,328
31 დეკემბერი 2022	14,994	23,127	19,704	57,825

10 სხვა გრძელვადიანი აქტივები

შენიშვნა 31 დეკემბერი 2022

31 დეკემბერი 2021

7

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	26,290.00	30,929.00
-------------------------------------	-----------	-----------

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი, რომელზეც განახორციელა რემონტი და კეთილმოწყობა, შესაბამისად ბალანსზე აღრიცხულია ცალკე მუხლად და ერიცხება წლიური 15% ცვეთა.

11 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მფლობელი და მენეჯმენტი.

წლის განმავლობაში მმართველი გუნდისთვის გადახდილმა ანაზღაურებამ შეადგინა 103 138 ლარი.

წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის გადახდა არ მომხდარა.

12 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს რაც დამატებით შესწორებებს ან ინფორმაციის გახსნას მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.